



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



28/03/2022



MIA 5 22 00803898

ა(ა)იპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
FactCheck.ge რედაქტორ მალხაზ რეხვიაშვილის

ელექტრონული ფოსტის მისამართი: teonaabsanzde@gmail.com

ბატონო მალხაზ,

2022 წლის №700139 წერილით საქართველოს მთავრობიდან გადმოგზავნილი თქვენი წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დანართის სახით წარმოგიდგენთ უკრაინის მოქალაქეთა (პირების უნიკალური რაოდენობა) მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის (შემოსვლა) სტატისტიკურ მონაცემებს, 2022 წლის 24 თებერვლიდან 2022 წლის 20 მარტის ჩათვლით პერიოდში.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უკრაინის მოქალაქეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის (შემოსვლა) შესახებ ინფორმაციის დამუშავება განხორციელდა ერთჯერადად.

შენიშვნა: საშუალო სტატისტიკური ცდომილების ზღვარი +/- 2,4%.

ასევე, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ:

1. უკრაინის მოქალაქეთა მიერ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა რაოდენობრივად შეზღუდული არ არის.
2. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ლტოლვილის სტატუსი უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ენიჭება განუსაზღვრელი ვადით, ვიდრე არ დადგება აღნიშნული სტატუსის შეწყვეტის კანონით დადგენილი გარემოება. რაც შეეხება ჰუმანიტარულ სტატუსს და დროებით დაცვას, კანონის შესაბამისად,



აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხდება ერთი წლის ვადით, რომელიც შეიძლება გახანგრძლივდეს სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზეც პირს ეს სტატუსი მიენიჭა.

3. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, სამინისტროში განცხადების რეგისტრაციისთანავე რეგისტრირდება თავშესაფრის მაძიებლად და მასზე გაიცემა თავშესაფრის მაძიებლის ცნობა. აღნიშნული ცნობის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, თავშესაფრის მაძიებელზე გასცემს დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას.

თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს:

- არ იქნეს ექსტრადირებული ან საქართველოდან გამეევებული, ვიდრე მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ან სასამართლო გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში;
- საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პერიოდში დარჩეს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში;
- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების უფლებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული და უმაღლესი განათლების უფლებით;
- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლოს შრომის უფლებით, კერძოდ, დასაქმდეს დამოუკიდებლად ან სხვა დამსაქმებლის მეშვეობით.

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს:

- „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო);
- მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა (ოჯახის თითოეულ წევრზე 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით);
- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების უფლებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული და უმაღლესი განათლების უფლებით, ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს სხვა ქვეყანაში მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების პროცედურებით;
- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა;
- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს შრომის უფლებით, კერძოდ, დასაქმდეს დამოუკიდებლად ან სხვა დამსაქმებლის მეშვეობით;
- სამინისტროს მიმართვის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე გაიცემა დროებითი ბინადრობის მოწმობა და სამგზავრო დოკუმენტი 3

(სამი) წლის ვადით, ხოლო ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გაიცემა დროებითი ბინადრობის მოწმობა და სამგზავრო პასპორტი 1 (ერთი) წლის ვადით;

- იმოგზაუროს სხვა ქვეყანაში, გარდა წარმოშობის ქვეყნისა და იმ ქვეყნისა, სადაც მისი და მისი ოჯახის წევრების ყოფნა უსაფრთხოდ არ ითვლება.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ჩვეულებრივი წესით განიხილება მისი რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში. ამ ეტაპზე, უკრაინის მოქალაქეებთან მიმართებით მიმდინარეობს სტანდარტული თავშესაფრის პროცედურა. რიგ შემთხვევაში, უკრაინის მოქალაქეებს კანონით დადგენილი ანკეტირების პროცედურა უტარდებათ რეგისტრაციის დღესვე და არა 10 სამუშაო დღეში, როგორც გათვალისწინებულია კანონით. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს თავშესაფრის გამარტივებულ პროცედურას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
ქეთევან ტყეშელაშვილი

